გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 4 ივნისს.

დავით, ივანე და ალექსანდრე სტეფანეს ძენი ბეზირგანოვები, სოფიო სტეფანეს ასული ბეზირგანოვისა და პეტრე დავითის ძე ბეზირგანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი მამისა თვისისას და უკანასკნელი—ძმისას თვისისას, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის სტეფანე დავითის ძის ბეზირგანოვისას. ცხედარს გაასვენებენ შაბათს, 4 ივნისს, დილის 10 საათზედ, მიცვალებულის სადგურიდამ: საპერნის ქუჩა, სახლის ნომერი მე-54.

ქართული თეატრი

პარასკევს, 3 ივნისს,

მ. მ. ლეონიძის

უკანასკნელს, გამოთხოვების ბენეფისში

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

# ცოლი-მეუღლე

5 მოქმედებიანი დრამა ა. მოჩხუბარიძისა.

მართა ბედკრულაძის როლს აასრულებს მოხბენეშისე.

II

დივერტისმენტი

III

ლეკური

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ანდრონიკოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, კავთელი, მესხიშვილი და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 1 ივნისი

ამ სამის თთვის განმავლობაში გერმანიის მმართებლობაში დიდი განხეთქილება სუფევს. ერთის მხრით არის თავადი ბისმარკი, წარმომადგენელი ძველის პოლიტიკისა, რომელსაც საგნადა ჰქონდა და აქვს ერი დააქვეითოს, ერის თავისუფლება შესწიროს სამხედრო ძლიერებას და სხვა სახელმწიფოებთან ბრძოლას; მეორეს მხრით—ერის უფლებისა და მშვიდობიანობის მოსარჩლე, კაცთ-მოყვარე იმპერატორი ფრიდრიხი, რომელმაც საქვეყნოდ უარ-ჰყო ბისმარკის პოლიტიკა და საჭიროდ აღიარა ერის ნება-ყოფლობისა და ერთა შორის ძმობის დაცვა. ეს ორი მიმდინარეობა საპოლიტიკო აზრისა მედგრად ჩაეჭიდა ერთმანეთს და თვითოეულის გამარჯვებასა თუ დამარცხებაზეა დამოკიდებული ევროპის ბედი თუ უბედობა. ბისმარკმა ამ ბრძოლაში მართლა რომ მთლად გამოიჩინა თავისი რკინის შეუპოვარი ხასიათი და აზრთა ყოველივე ღონის-ძიება თავისის მიმართულების გამარჯვებისათვის. არა ნაკლები სიმტკიცე გამოიჩინა ავადმყოფმა, ღონე-მიხდილმა ფრიდრიხმა, რომელიც ისეთისავე მედგრობით შეებრძოლა ბისმარკის პოლიტიკას, როგორადაც იმის სიცოცხლეს ყელის ავადმყოფობა. თუმცა დახელოვნებულმა ბისმარკმა რამდენჯერმე დაამარცხა სასიკვდილოდ განწირული იმპერატორი, მაგრამ დამარცხებულს ხელიდგან ფარ-ხმალი არ გაუშვია, და ეხლა საქმე იმ წერტილამდე მისულა, საცა ან ერთმა მხარემ და ან მეორემ უნდა გაიმარჯვოს და დრომდე მაინც ხელთ იგდოს გერმანიის სვე-ბედი.

ამას წინად გავრცელდა ხმა, რომ ბოლგარიის მთავრად ნამყოფს, პრინცს ბატენბერგს, იმპერატორმა ფრიდრიხმა თავისი ასული უნდა მიათხოვოსო. იმპერატორი ამ შემთხვევაში მოქმედებდა თავისის ასულის სურვილისამებრ და განზრახვაც არა ჰქონია თავისის ასულისა და ბატენბერგის დაქორწინება გაეხადნა პოლიტიკურის მანქანების საშუალებად და მსხვერპლად. საფიქრებელი იყო, რომ ბისმარკი ამ დაქორწინებისა წინააღმდეგი არ იქნებოდა; პირ-იქით, საბუთი იყო ეფიქრნათ, რომ ბისმარკი, ვითარცა მოპირდაპირე რუსეთისა, გამოიყენებდა ამ შემთხვევას, რადგანაც თვით ბატენბერგიც რუსეთის მოპირდაპირეა. მაგრამ გამჭრიახმა კანცლერმა საქმე სულ სხვა რიგად დაატრიალა და აღიარა, რომ ბატენბერგის დანათესავება გაამწვავებს გერმანიისა და რუსეთის განწყობილებას და რომ ფრიდრიხის განზრახვა არ ეთანხმება გერმანიის მშვიდობიანს პოლიტიკასაო. ბისმარკის ხმას აჰყვა მთელი კონსერვატიული მწერლობა და დიდ-ძალი საზოგადოება გერმანიისა. ბისმარკმა საქმე ისე მოაგვარა, ვითომ მზად იყო სამსახურიდგან გადამდგარიყო, თუ რომ ფრიდრიხი თავისს წადილს შეასრულებდა. ფრიდრიხიც იძულებული შეიქმნა დასთანხმებოდა ბისმარკს, რადგანაც ჰხედავდა, რომ იმისი განზრახვა არ მოიწონეს გერმანიასა და რუსეთშიაც. ასე და ამ გვარად ამ გზობით ბისმარკმა დაამარცხა ფრიდრიხი და დარჩა გერმანიის პოლიტიკის მეთაურად.

წელს გერმანიის რეიხსტაგმა და პრუსიის დეპუტატთა პალატამ შეიწყნარეს ახალი რეაქციონული კანონი, რომლის ძალითაც ახალი პალატა უნდა აირჩიონ ხუთის წლის ვადით და არა სამის წლისა, როგორც დღემდე იყო. ეს კანონი ბისმარკის პოლიტიკის ნაყოფი იყო და ხმა გავარდა, ვითომ იმპერატორმაც დაამტკიცა იგი კანონიო. ამ კანონმა დიდი ლაპარაკი და აყალმაყალი გამოიწვია მწერლობაში. მთელმა მოწინავე მწერლობამ და საზოგადოებამ უკმაყოფილება გამოაცხადა, რადგანაც ცხადი იყო, რომ ბისმარკს პალატა საკუთარის მიმართულების იარაღად უნდა გაეხადნა. შეჰქმნეს ლაპარაკი იმაზე, რომ ბისმარკის დასი ყოველსავე ღონის-ძიებას ხმარობს თავიანთი კანდიდატები გაიყვანოს პალატაშიო. ყველამ იცოდა, რომ მინისტრად ნამყოფი პუტკამერი ძალას ატანდა ამომრჩევლებს. ამ დროს სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა პუტკამერი და იმპერატორმა გამოაცხადა, რომ არჩევანი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს და რომ მთავრობამ ამომრჩევლები არ უნდა შეავიწროვოს და არჩევანში არ ჩაერიოსო. ამიტომაც პრუსიის ლანდტაგში დიდი ლაპარაკი გამოიწვია პუტკამერის მოქმედებამ. რიკერტმა და რიხტერმა გაარჩიეს მინისტრების მოქმედება და ძალადობა და აღიარეს, რომ მინისტრების პოლიტიკა არ ეთანხმება იმპერიის ინტერესებსაო. ამ ბაასის შედეგი ის იყო, რომ დეპუტატების პუტკამერ-პლაუტის და დერნინგის არჩევანი ლანდტაგმა არა-კანონიერად სცნო.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

† სამშაბათს საღამოს გარდაიცვალა ტფილისში ხუთის თთვის ავადმყოფობის შემდეგ სტეფანე დავითის

# ფელეტონი

## მცირე შენიშვნა

„ოთარაანთ ქვრივის" გამო.

### V

მაშინ-როდესაც გაბრიელის გრძნობამ გააუბედურა იმისი საყვარელი თამროცა, თამროს მამა პეპიაცა და თვით გაბრიელიც, გააუბედურა მარტო იმის გამო, რომ გლეხის ბიჭს უნდოდა ნამუსიანი ქალი მოეყვანა სახლში, ერთის სიტყვით, მაშინ-როდესაც გლეხის ბიჭს უხიფათოდ არ შეეძლო თავისუფალის არჩევით შეერთო გლეხისავე გოგო,—ერთის თაობის შემდეგ გიორგის გული იმდენად განთავისუფლდა მრავალ-კეც ბორკილებისაგან, რომ თავის გრძნობის საგნად გამოიხატა თვით თავადიშვილის ქალი კესო, რომელსაც სიკვდილის ჟამს ეუბნება ამისთანა სიტყვებს:

აი ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. განა არ ვიცოდი—მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი-კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც-კი იცოდი, ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები.

ამ სიტყვებს, მგონი, განმარტება აღარ უნდა. ისეც აშკარადა სჩანს, ამ მხრივ რამოდენა ნაბიჯი გადასდგა გლეხის განთავისუფლებულმა გრძნობამ. გაბრიელის დრო ისეთი იყო, როდესაც გლეხს ენატრებოდა, რომ ისიც ღვთის გაჩენილ არსებად ეცნო კანონსა და კაცობრიობას, გაენთავისუფლებინა იმისი უსამართლოდ შევიწროებული და დამონებული პიროვნება. გაბრიელი იტანჯებოდა და შემდეგ იბრძოდა თავისუფლებისათვის. გიორგის ეს საგანი მზა-მზარეულად, გაურჯელად დახვდა. ამას თავის მხრივ სხვა განძი უნდა შეეტანა ცხოვრებაში და თვით ცხოვრებამაც სხვა საგანი მისცა ხელში.

რაკი ბატონ-ყმობა გადავარდა, იმის შემდეგ ძირი გამოეთხარა წოდებრივ განსხვავებასა და განცალკევებას, აღარა ჰქონდა აზრი წოდებათა დაშორებას, ცალკ-ცალკე შეკეტვასა და მომწყვდევას. გაფართოვდა მოედანი კაცთა ურთიერთობისა, გზა გაეხსნა დაახლოვებას, აირია, გასკდა და დაინგრა ის უშველებელი კედელი, რომელიც აქამომდე ისეთის სიმტკიცით იყო აშენებული კანონის მიერ და ისეთის ძალით აშორებდა ერთმანეთს სხვა-და-სხვა წოდებათა წარმომადგენელთ. არა თუ მარტო აზრითა და სიტყვით ამბობდა ეხლანდელი კაცი, რომ გვარიშვილობა თავისით არ შეადგენს რომელსამე ღირსებასაო, არამედ თვით საქმემ აღიარა, რომ „თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობაო". დადგა ისეთი დრო, როდესაც კაცს მარტო საკუთარის ღირსებით-ღა შეეძლო გაეტანა თავი ცხოვრებაში, მოეპოვებინა სახელი და დიდება. ამისთანა დროს წოდებათა ჩამწყვდევას და ერთმანეთის დაშორებას არა თუ არავითარი აზრი არა ჰქონდა, იგი შეიქმნა მაზარალებელი თვითოეულისთვის ცალკ-ცალკე და ყველასთვის ერთად. და ამიტომ დღევანდელი საგანი ცხოვრებისა და ისტორიისა უნდა ყოფილიყო გათანასწორება, გაერთება ყველასი, რაიცა კანონმა უკვე აღიარა,—დაახლოვება, ძმობა, სიყვარული—ყველანი ძმანი ვართ, ვეკუთვნით ერთსა და იმავე ერსა, შურისა და მტრობის საგანი მარტო წვრილმანებში-ღა დაგვრჩა, იმის გამო აღარა ღირს განცალკევება, იმაშიაც როგორმე მოვეშველდებით, გავსწორდებით, მოვრიგდებით და, მაშასადამე, მივცეთ გული გულსა, ჩავკიდოთ ხელი ხელსა, გავისარჯოთ და ვასახელოთ ქვეყანა ჩვენი.

აი საგანი ჩვენის დღევანდელის ისტორიისა. რაკი ასეთი საგანი წამოაყენა ცხოვრებამ, არ შეიძლება, რომ ამ საგანმა არ დაიმორჩილოს დღევანდელი კაცი. გინდაც რომ ჯერ აზრით ვერ შესწვდეს ადამიანი ამისთანა საგანს ცხოვრებისას, გული მაინც იგრძნობს, ამიტომ რომ ასეთი საქმე ყოველთვის ჯერ გულიდამ დაიწყება ხოლმე.

**

სალმა და სრულმა გულმა გიორგისამ იგრძნო ეს საგანი ერთობისა, წოდებათა ძმობისა: „გული გწვდებოდა, გული, ხელი-კი ვეღარაო", ეუბნება კესოს. აბა კარგა ჩაუკვირდით ამ სიტყვებს და ამოიკითხავთ, რომ გლეხი, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი მთელის ხალხის გონიერებისა და სიკეთისა, უბოროტო რამ არის გულით, მალე ივიწყებს მტრობასა და წყენას, დანაშაულს აპატიებს თავის მტერსა, ერთის სიტყვით, სულგრძელია, და ოთარაანთ გიორგის გრძნობა პირდაპირ გვეუბნება, რამდენად გლეხის გულმა მაღლა აიწია თავად-აზნაურობის გულსა და ზნეობაზე. ჯერ ერთი თაობაც არ გასულა მას აქეთ, რაც გლეხის ღირსება შეგინებული იყო კესოსა და არჩილის მამა-პაპისაგან, მაგრამ გიორგის უბოროტო გულმა, თავისის სულგრძელობით, დაივიწყებას მისცა ეს საშინელი წყენა, იქამდის დაივიწყა, რომ თავისი გრძნობაც-კი, მთელი თავისი სიცოცხლეც-კი არ ეშურებოდა კესოსათვის. ამავე დროს შვილი ისეთის დედ-მამისა, რომელთაც ეგოდენი სიბოროტე მიუძღვით გლეხთა მიმართ, იმდენადაც ვერ განთავისუფლებულა ათას გვარის ცრუ-შეხედულობიდამ, რომ გულით მაინც იგრძნოს ეგ დანაშაული მშობლებისა და თანასწორ კაცად მაინც იცნოს ისეთი ადამიანი, რომელიც აგერ მეოთხედი საუკუნეა, რაც თვით კანონმა იცნო თანასწორად ყველასთან! ვერც-კი მიუხვდა სიყვარულსა, რადგან თავისი თავი ისე მაღალი და დიდი ვინმე ეგონა, რომ ფიქრადაც არ მოუვიდოდა აზრი, ვითომც შესაძლო ყოფილიყოს რაიმე დაკავშირების გრძნობა იმასა და გიორგის შორის. მაგრამ ამ საგანს შემდეგაც მივუბრუნდებით.

ამ ხელად-კი დავამთავროთ ჩვენი საკითხი შესახებ იმისა, თუ კიდევ რა განსხვავებაა გაბრიელსა და გიორგის შორის და რითი სდგას გიორგი გაბრიელზე წინ, გარდა იმისა, რომ გაბრიელი განთავისუფლების მონატრე იყო და გიორგი-კი, რადგან თავისუფლება უკვე ნაზრუნი და ნანალევი ჰქონდა, გათანასწორების საგანს შეეტოტინა.

**

გაბრიელი უფრო სიტყვის კაცი იყო, ვიდრე საქმისა. ისა ჰხედავდა ხოლმე უსამართლობას, ესმოდა, რომ უსამართლობა არ ვარგა, გულიც შესტკიოდა მათთვის, ვისკენაც მიმართული იყო უსამართლობა, მაგრამ არც ეს ნახვა, არც სმენა და არც გულის ტკივილი არ ამოქმედებდა გაბრიელსა წინააღმდეგ უსამართლობისა, მანამ დანა ყელთან არ მიეიდოდა. მაგალითად, გაბრიელმა იცოდა, რომ დათიკო საშინლად გაწუწკებული იყო სოფლის გოგოებში და არც ერთს არ დასტოვებდა ნამუსს აუხდელს, მაგრამ გაბრიელი მაინც კარგ განწყობილებაშია დათიკოსთან და კიდევაც უყვარს იგი, როგორც თანაშეზრდილი. თუ გამოემკლავა დათიკოსა და იმის უსამართლობას, ეგ მხოლოდ მაშინ, როდესაც მართლა დანა ყელთან მიეიდა და მძიმე საქმეს უპირებდა თვით გაბრიელის სიყვარულსა და იმის საცოლე თამროს ნამუსსა. აქამდის იგივე უსამართლობა მარტო გონებას ამუშავებდა გაბრიელისას და მხოლოდ ეხლა, როდესაც თითონ იმის გულსა და საკუთარს საქმეს შეეხო, გაანძრევინა ხელი და ძლივ-ძლიობით, როგორც იყო ხანჯალი ამოაღებინა ქარქაშიდამ.

გიორგი-კი ძალიან ნაკლებადა ჰხარჯავს სიტყვასა და სამაგიეროდ ირჯება და თვით საქმეს ალაპარაკებს თავის მაგიერ და თავის ღირსების სასარგებლოდ. ბატონ-ყმობის გლეხი ოხრავს, იტანჯება, სული ეხუთება და მხოლოდ ეხსნება მადა ლაპარაკისა ავსა და კარგზე. სრულებით სხვა ჯურის ადამიანია ეხლანდე-

ძე ბეზირგანოვი. განსვენებული დიდი ხანი იყო ქალაქის ფოსტის მმართველობის უფროსად და შარშან გამოვიდა სამსახურიდგან. განსვენებული მთელს ტფილისის საზოგადოებასა და ფოსტის უწყებაში ცნობილი იყო ვითარცა სინიდისიერი, ბეჯითი და პატიოსანი კაცი.

*** ხვალ, 3 ივნისს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტის-ქალის მ. ღლონტისა. ითამაშებენ პიესას, „ცოლი-მეუღლე“, რომელშიაც მობენეფისე საგანგებოდ თამაშობს ერთს თავის უკეთესს როლს. ამბობენ, რომ ამ საღამოს არტისტი-ქალი ღლონტისა უკანასკნელად ითამაშებს ქართულს სცენაზედაო. ეს გარემოება ფრიად სამწუხაროა, იმიტომ-რომ მ. ღლონტისა ისეთი არტისტი იყო, რომელმაც თავისის ბეჯითობით და სინიდისიერად მოვალეობის ასრულებით საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. იმისი დაკარგვა ქართულის სცენისათვის დიდი დანაკლისი იქნება, მით უფრო, რომ ეს არტისტი ქალი შვიდისა და რვა წლის სამსახურის შემდეგ საუკეთესოდ მომზადებული და დახელოვნებულია დღეს სასცენო მოღვაწეობისათვის. ვისაც უნახავს ეს არტისტი-ქალი იმ როლში, რომელსაც იგი უკანასკნელად ითამაშებს, იმას ლიტონ სიტყვად არ ეჩვენება ჩვენი ნათქვამი.

*** „მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალების საზოგადოება“ მეორედ ჰმართავს შაბათს, 4 ივნისს, შუადღის შემდეგ ყმაწვილების გასართობს სეირნობას. საზოგადოებას განზრახვა ჰქონდა, გაზაფხულზე ხუთჯერ ან ექვსჯერ გაემართნა ყმაწვილებისათვის ასეთი სეირნობა, მაგრამ უამინდობის გამო ეს განზრახვა არ შესრულდა. დღემდე მხოლოდ ერთხელ იყო გამართული ასეთი სეირნობა. დიდსა და მშვენიერად გამწვანებულს ბაღში, სადაც ბაღოსნობის სკოლაა, სამასზედ მეტი ყმაწვილი ისე იყვნენ გაფანტულნი და გართულნი თამაშობითა და სხვა-და-სხვა ვარჯიშობითა, რომ იმათი მნახველი ადვილად დარწმუნდებოდა, თუ რა კეთილი და ფრიად სასარგებლო საქმე დაუწყვია ზემოხსენებულს „საზოგადოებას“.

*** თელავიდგან გვწერენ, რომ იქაურს ხელოსნებს განზრახვა აქვთ ამ მოკლეს ხანში გაჰმართონ წარმოდგენა თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ამ ჯეროზაზედაც ხელ-მეორედ უნდა წარმოადგინონ „არსენა“ და მესამე მოქმედება „მათიკოდგან“.

*** კავკავი: ბარის ოსეთში აგერ ერთი თთვეა, სულ ავდრიანი და მოღრუბლული დღეებია, წვიმები ძალიან წყნარი და მშვიდობიანია და ზარალი არა მოუტანია-რა. თუმცა ჯეჯილი ძალიან გათამამდა, მაგრამ ხალხი შიშობს, რომ თუ ასე გასტანა წვიმამ, უთუოდ ასჩალავს და ყანებს გაგვიფუჭებსო. წინა წლებში სიმინდის თესვა ამ დროს ყოველთვის გათავებული ჰქონდათ ხოლმე და უთოხნიათ კიდეც, მაგრამ წელს მხოლოდ ეხლა-ღა სთესავენ სიმინდს. ამისთანა ნაგვიანევი სიმინდი მოგვესწრება თუ არა, ღმერთმა იცის! ხეხილი ხშირის წვიმის გამო დაჭიანდა.

*** იქიდამვე: მდ. თერგი ამ ჟამად ძალიან აღელვებული მოდის. სოფ. ბესლანში შარა გზის ხიდი მოჰგლიჯა, მაგრამ ისევ მალე გააკეთეს. იმავ მდინარემ სოფ. ხოტში ბორანი მოჰგლიჯა.

*** კახეთი: ამას წინად, 21 მაისს, საღამოს სამსაათზე, ცა უცებ ჩამობნელდა და ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი და დაიწყო კოკის პირული წვიმა. მთელი ნახევარი საათი სწვიმდა. ზენა-ქარმა მალე გადაატარა კახეთზე ეს სეტყვის ნიშნებით დაწყებული ამინდი, თორემ კახეთში კარგა შესამჩნევ კვალს დაატყობდა. ზოგიერთს სოფლებში კიდეც მოვიდა სეტყვა, მაგრამ ზიანით არავითარი ზიანი არ მოუტანია ჰირნახულისათვის. ამ ხნობით-კი გადარჩა კახეთი, მაგრამ შემდეგში რა იქნება, ღმერთმა იცის. „აირია მონას ტერიო“, რომ იტყვიან, სწორეთ ასე მოსდის კახეთს ამ არეულის ამინდების გამო. მეტად სანატრელი გახდა გაზაფხულის წყნარი და მშვიდი ამინდი. მაისი მიიწურა და ჯერ კახელებს მუშაობით გული არ უჯერებიათ. თუ ახალმა მთვარემაც ასე გასტანა, თქვენი მტერია, კახეთს დღე დაადგება.

მდ. ალაზანმა მეორე ხიდიც გაისტუმრა საიქიოს. ახლა-კი ველარ შესძლო კახეთმა უხიდობა და აგერ ერთი კვირაა, რაც ახალის ხიდის კეთებას შეუდგნენ. სასურველია, რომ ახალი ხიდი მკვიდრი გაეკეთებინოთ და ამ თავითვე მოეშორებინოთ კახელებს თავიდამ წამ-და-უწუმ უგზოუკვლობა მდ. ალაზანზე.

*** სოფ. ყვარელი: თუმცა უამინდობაა, მაინც ხან-და-ხან დილდილობით კარგა თბილი დღეებიც არის ხოლმე. ამიტომაც ზოგიერთებმა ბანაობაც დაიწყეს. ეს ბანაობა ჩვეულებრივი იქნებოდა, რომ სოფ. ყვარელში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი არ დაჰმართოდათ მობანავეთ. მდინარე ბურსაში ამას წინად ებანავნათ ორს ახალგაზდა ქალს და ერთს ხანში შესულს. მობანავენი ამოსულიყვნენ თუ არა წყლიდამ, უცებ ხუთი მეძროხე თავს დასხმოდათ და ახალგაზდა ქალები მოეტაცნათ. ხანში შესული მოვიდა სოფელში და ეს გარემოება აცნობა ხალხსა. ხალხი მაშინათვე გაექანა ტყისკენ, საითკენაც მეძროხეებს მობანავენი წაეყვანათ, შეიპყრო მეძროხეები და შესაფერად დასაჯა წკეპლით, მათრახით და კეტით ცემაც არ დაუკლიათ. ამ ამბის გამო საქმე შესდგა და გამოძიებაც სწარმოებს.

*** 31 მაისს პოლიციის მე-8 ნაწილში ზურგის ჯარის-კაცი ანტონ ბიტოვსკი გაუფრთხილებლობით ჩავარდა მდ. მტკვარში, ავლაბრის ხიდის ახლო, და დაირჩო. დამრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა განვუცხადო ბატონს გიორგი ქართველიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას გამოცემული მის მიერ სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის
ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე.

## ფულის ანგარიში

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების კომიტეტისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის მაისის პირველიდამ 1887 წლის მაისის პირველამდე 1888 წლისა.

| 1887 წლის მაისის 1-სათვის იყო: | მან. კაპ. |
|---|---|
| სკოლის ინსპექტ. ჰქონდა ნაღდად . . . . | 939—40 |
| საკომერციო ბანკში მიმდინარე ანგარიშით . | 923—10 |
| ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები. . . . | 3700— „ |
| | 5562—50 |
| აქედამ რომ გამოვრიცხოთ გალი საკომერციო ბანკის დაგირავებულ ფურცლებზე. . . . . | 2960— „ |
| დარჩება სულ | 2602—50 |
| შემოვიდა მაისის 1-დამ 1887 წლ. 1888 წლ. მაისის 1-მდე. | |
| ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკიდამ . . . . | 20842—90 |
| საწევრო ფული . . . | 9— „ |
| 1888 წლ. იანვრის 6-ის ბალიდამ, თ. ჭავჭავაძისა და სხვათაგან . | 2744— „ |
| %-ები სარგებლიან ქაღალდებისა. . . . . | 210—90 |
| პანსიონერების შემოსავ. | 4169—37 |
| გარედამ მოსიარულე შეგირდებისაგან . . . | 849— „ |
| მეულის დანარჩენის ფულიდამ პანსიონერებზე. | 1120— „ |
| | 29945—17 |
| სულ | 32547—67 |

ლი გლეხი. იმისთვის თვით სიტყვაც-კი იგივ საქმეა, სიტყვაც-კი იმდენადა სწამს, რამდენადაც იგი კაცს გაუკეთებს, არგებს რასმე, თუ არა და, არაფრად მიაჩნია:

„— ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი: ამ გამწარებულ წუთი-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთ-მაქცობაა, სხვა არაფერი. „ტკბილი სიტყვა ნუგეშიაო, კაცს გულს მოჰფხანსო“. გულისფხანა რაღა დარდებალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის,—მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქედ მისწიოს, ან იქით, თორემ იმი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა... ძილს მოჰგვრის. ის-კი არ იციან, რომ თუ წუთი-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

ჯერ ბავშვი იყო გიორგი, რომ, თუკი სადმე უსამართლობას დაინახავდა, ლაპარაკსა და ოხვრას-კი არ მოჰყვებოდა გაბრიელსავით, პირდაპირ ყელში სწვდებოდა უსამართლოების ჩამდენსა და იქვე ან თითონ გაასწორებდა წამხდარს საქმეს და ააყენებდა სამართალს, ან თვით ჩამდენს გაასწორებინებდა. თუ დაინახავდა, რომ ძალა სჩაგრავს უძლურობას, მაშინათვე შეექიდებოდა ძალუმსა და შემწეობას აღმოუჩენდა დაჩაგრულს. მაშასადამე, გიორგი მაშინაც-კი ჰმოქმედობდა, როცა საქმე სხვას, გარეშე კაცს შეეხებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ თავის თავს არ მოაკლებდა საფარველს, თუ-კი ვინმე მოიწადინებდა იმის გაქელვასა და დაჩაგვრას. მოთხრობაში ვკითხულობთ, რომ ერთხელ ოთარაანთ ქვრივისათვის ქათამი წაერთმია გზირსა, მაგრამ რადგან ქვრივმა ეს ამბავი უსამართლოდ იცნა, გამოეკიდა თავის ქათამსა, თვით გუბერნატორამდე თავის ფეხით იარა და ქათამი ერთი შვიდად დაუსვა გზირსაო. თითონაც ერთ თუმნამდე დაუჯდა დავიდარაბა, მაგრამ ამბობდა თურმე:

— ფული რა არის?.. ხელის ჭუჭყია. ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე,—ეს რადა ღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე,—ცოტაა! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მქახიანო.

**

ჩვენ მაინცა ვხედავთ, რომ თუმცა ამ სახით გიორგი გაცილებით წინა სდგა გაბრიელზე ხასიათით, ზნეობით, გულით, მოქმედებით, მაგრამ გაბრიელი მაინც გმირია, საზოგადო მოქმედია და გიორგი-კი არ არის გმირი, არც საზოგადო მოღვაწე, გიორგი კაი სოფლის ბიჭია და მეტი არაფერი. იმისი სახელი ვერ დარჩება ქვეყნისთვის საყვარლადა და სახსოვრად, როგორც სახელი არსენასი, კაკო პლატიაშვილისა და აქედამ თვით გაბრიელისაც. თქვენ იკითხავთ მიზეზს— თუ-კი გიორგიმ ასე წინ წადგა ნაბიჯი და გაუსწრო თავის წინაპარ გლეხებს, მაშ როგორ მოხდა, რომ მისნი სუსტი წინაპარნი-კი გმირებად იცნო ცხოვრებამ და სრული, დაწინაურებული გიორგი-კი არ მიიჩნია თავისმოსაწონებელ, სახელოვან გმირად და აღიარა, რომ გიორგი მხოლოდ შუათანა ბიჭია ერთის სოფლისა და ამ სოფელს ძნელადაც გადააბიჯებს იმისი სახელიო? იკითხავთ და მეც შეძლებისა-და გვარად მოგახსენებთ ამ მიზეზსა.

ყველაფერი დროზედა ჰკიდია, ყველაფერი დრომ იცის. იყო დრო, როდესაც ორი სპარსული ხანობას მოგცემდა საქართველოში, იყო დრო, როდესაც ორი რუსული საკმარისი იყო, რომ გენერლობა მოეცათ თქვენთვის. ეხლა-კი გინდა სხაპა-სხუპით გადაბულბულო რუსული ენა და იქამდე შეითვისო, რომ სამშობლო ენაზე ველარც-კი ახერხებდე ლაპარაკსა, არა თუ გენერლობას ველარ მიიღებ, იქნება „კრუჟოკის“ შეიცარობაც და „ბურდუჩნი კლუბის“ სტოროჟობაც დაგირჩეს ისეთ სანატრელ საგნად, რომელსაც შენ დღეში ვერ შესწვდე, გინდაც კაცობითა და ადამიანობით ერთი-ათად წინ იდგე, ვიდრე ისინი, ვინც ერთხელ გარემოებამ სათავეში დაგიყენა.

გაბრიელის დრო ისეთი იყო, რომ გაჰწვევდა ერთმანეთის დამოკიდებულება ყმასა და ბატონს შორის, თანაც წინააღმდეგობა ამისთანა ვითარებაში დიდად ძნელი საქმე იყო, დიდს თავ-გამომეტებასა თხოულობდა იმისგან, ვინც გაჰბედავდა და წინააღუდგებოდა მაშინდელს წეს-წყობილებას: ან უნდა სიკვდილით დასჯილიყო, ან ციმბირში გადაკარგულიყო, ან ყაჩაღად გავარდნილიყო და ტყეში ეცხოვრნა ნადირსავით. არსენამ გაბედა და თავისი საყვარელი გოგო მოსტაცა ზაალ ბარათაშვილსა. ეს საქციელი საკმარისი იყო, რომ მთელს საქართველოსა და მთავრობას მთელი თავიანთი ყურადღება მიექციათ არსენასათვის. არსენა რომ დაჭერილი ჩამოატარეს ქალაქში, ყველანი იმას შეჰყურებდნენ და აქებდნენ. რუსები იძახოდნენ არსენაზე—„ეი ბოლ და მალადეცაო“, სომხები—„ლავე ბიჭი არის ესაო“, ოსები და სხვანიც თავთავიანთ ენაზე ამკობდნენ არსენასა.

ის ისეთი დრო იყო, როდესაც ერთი წუთი გადააქცევდა უბრალო, სადა კაცს ქვეყნის გმირად. გინდა ეს კაცი იმავ წუთს სიკვდილის მსხვერპლი გამხდარიყო, მაინც საყვარელ გმირად დარჩებოდა ქვეყნის მეხსიერებაში, თუნდაც აქამდის საგმირო არა სტყობოდა-რა და ყველასგან მივიწყებული ყოფილიყო.

სრულებით სხვა დროა გიორგის დრო. ეხლა ჯერ არ არის გამწვავებული კაცთა შორის ურთიერთობა, უსამართლობასაც ვერა ჰხედავს კაცის თვალი იმ ზომამდე, რომ სული და გული ეხუთებოდეს. ეხლანდელი გლეხი თუ დაინახავს, კერძო, განცალკევებულ უსამართლობას დაინახავს. ეს უსამართლობა არ არის მისთვის ზოგადი, საყოველთაო. პეტრე შეავიწროებს პავლეს, ივანე პართენის. თუ გიორგი შეესწრო ამ შევიწროებას, ჩაერევა ჩხუბში, გააშველებს მებრძოლეთა და ერთი კაი-კაებს ურტყამს პეტრესაცა და ივანესაც და თანაც ეტყვის, რომ კვლავ აღარ გაჰბედოთ პავლესი და პართენის შეწუხება, თორემ უარესს დღეს დაგაყრით, მინდვრთ მავაზეო. პავლესი და პართენის შეწუხება სრულებით კერძო საქმეა და არა ზოგადი, ამიტომაც მათი წაქომაგება გიორგის მხრივ სრულიადაც არ შეეხება ქვეყნის საჭირ-ბოროტო საგანსა და დღიურ ვარამს, და ზოგი გლეხი ხომ გაშტერებული უყურებს გიორგის—არა, ჩვენთვის რომა ვსთქვათ, ამ კაცს რა უნდაო, ეგ ან გიჟია, ანუ ღვთისგან გამოგზავნილი ვინმეო. ასეთის კერძო, ცალკე მართლიანობით გმირის სახელი არ მოიხვეჭება ქვეყანაზე.

მე ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, რომ დღევანდელ გლეხს არ შეეძლოს გმირობა. რატომ, თუ-კი დაჩაგრულსა და დანაგნულს ყმას შეეძლო გმირად გამოსულიყო, რატომ საღი და სრული, თავისუფალი და თამამი დღევანდელი გლეხი-კი, რატომ გიორგი-კი ვერ გამოვა გმირად? გამოვა და ძალიან მოხდენილი გმირიც იქნება. მაგრამ ამისთვის საჭიროა დროების შესაფერი ფარ-ხმალი, რომელიც აკლია გიორგისა და რომელიც ასე უხვად მიუცია ცხოვრებას არჩილისა და კესოსათვის—არა აქვს მეცნიერების სინათლით განსპეტაკებული გონების თვალი და ამიტომაც ვერა ჰხედავს ზოგადს ვარამს დღევანდელის დღისას. რამდენადაც ადვილი და შესაძლებელი საქმე იყო გმირობა აღრინდელის ყმისათვის, იმდენად ძნელი და ჯერ თითქმის მოუხერხებელია გმირობა დღევანდელის გლეხისათვის.

**

უეჭველია, შემოქმედობითი ძალა, რომელსაც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში, თავის დროზე გლეხსაც მიიყვანს იმ კიბემდე, საიდამაც უფრო ფართო მოედანზე ივარჯიშებს იმისი შეგნებული თვალი. მაგრამ მანამდის ბევრი და ბევრი დრო გასტანს, თუ არ ჩაერია რომელიმე სხვა ძალა და არ გაუადვილა გლეხს ცხოვრების გზაზე ძლევა-მოსილი სიარული.

დასარჯულია ამ საანგარიშო წელს:

ა, სკოლაზე:

1) სმა და ჭამაზე . . . 3344—14
2) ჩაცმა-დახურვა. . . 2195—30
3) სწავლისათვის საჭირო ნივთები და ბიბლიოთეკა. 786—49
4) კლასების, საწოლ ოთახების და სამზარეულოს მოწყობილობა . . . 575—73
5) ჯამაგირი ინსპექტორის და მასწავლებლებს. 14358—80
6) „ „ მოსამსახურეებს 1036—38
7) გათბობა და განათება. 852—58
8) საავადმყოფო . . . 548—63
9) მოსარეცხე და სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი. . . . . . 1010—06
10) სახლი . . . . 4500— „

სულ 29208—11

ბ) 1) გადაგირავება გირავნობის ფურცლებისა და მარკები. . . . . 203—13
2) შემწეობა შეგირდებს . 120— „
3) შემწეობა გიმნაზიის მოწაფეს ბერიძეს . . 153—63
4) სტუდენტს თურქესტანიშვილს . . . . 200— „
5) მომზადება ზაფხულში 7 შეგირდისა გიმნაზიისათვის . . . . 509—99

სულ 1186—75

ერთიანად 30394—86

ეს რომ გამოვიდეთ შემოსავლიდამ, რჩება . . 2152—81
სახელდობრ:
ნაღდ ფულად ინსპექტორის აქვს. . . . . 785—04
საკომერც. ბანკში მიმდინ. ანგარიშით. . . . 627—77
გირავნობ. ფურც. ტფ. თავად-აზ. საადგ. მამ. ბანკ. . . . . . 3700— „

სულ 5112—81

აქედამ რომ გამოვრიცხოთ ვალი საკომერციო ბანკისა . . . . . 2960— „

რჩება სულ 2152—81

ამას გარდა პანსიონერებზედ ირიცხება ძველი ვალი 5748 მან., რომელიც შესდგა ასე:

1887 წლის მაისის პირველისათვის იყო . . 6054— „
საანგარიშო წელს ახალად დაევალათ პანსიონერებს 814— „

სულ 6868— „

ამ ფულში შემოვიდა, როგორც ზემოდ არის ნათქვამი . . . . . 1120— „
1888 წლ. მაისის პირველისათვის რჩება. . 5748— „

თუმცა კომიტეტმა მიიღო სხვა-და-სხვა ღონის-ძიება იმ ვალის შესაკრებლად, რომელიც გასულ პანსიონერებზეა დარჩენილი, მაგრამ ყოველივე ღონე ამაო გამოდგა და კომიტეტს არაფერი არა მიუღია-რა იმ ფულიდამ.

ნ. ცხვედაძე
დ. ფუგლენიშვილი
ი. მაჩაბელი
ლ. ვაჩნაძე

## უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიამ თავისუფლად ამოისუნთქა ცოტაოდნად, თუმცა რკინის ხელები ბისმარკისა ჯერ კიდევ ძრიელა აქვს წაჭერილი ყელში. დეპუტატმა რიკერტმა 22 მაისს წარმოსთქვა სიტყვა თავისუფალ მოაზრეთა კრებაზე ბისმარკის პოლიტიკის წინააღმდეგ. რიკერტმა ჯერ იმაზე ილაპარაკა, რომ ჩვენმა დასმა თავისუფალ მოაზრეებისამ თავისი გაიყვანა და პრუსიის პალატის უკანასკნელს კრებაზე მოაქცია ქვეყნის ყურადღება იმ შევიწროვებას, რომელსაც აყენებენ ამომრჩეველებს არჩევანების დროსა. მერე ორატორმა ასე განაგრძო:

ჩვენ გვისაყვედურებენ, ვითომ პროკურორსა და პოლიციას მოვუწოდეთ და მოვითხოვეთ დასჯა იმ გაზეთებისა, რომელნიც ავად იხსენიებდნენ გერმანიის დედოფალსა. ეს სიცრუვეა ჩვენთა მოწინააღმდეგეთა, რომელნიც გონზე ველარ მოსულან დამარცხების შემდეგ. თქვენ იცით, რა აზრისანიცა ვართ ჯერძოდ ჩვენა. ჩვენის აზრით, თავისუფალი მწერლობა და ჟურნალ-გაზეთობა უკეთესი ფარხმალია ცილის წამებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ. საჭიროა მხოლოდ, რომ თავისუფლება ყველასთვის თანასწორად არსებობდეს...

რიკერტმა ასე გაათავა ბოლოს თავისი სიტყვა:

თვითეული გერმანელი უნდა იბრძოდეს ეხლა შინაურობაში სამოქალაქო დამოუკიდებლობისათვის, თითოეული უნდა სცდილობდეს, რომ გერმანია არა მარტო ძლიერი იყოს, არამედ ბედნიერი და კმაყოფილიცა. საკმაო არ არის, რომ გერმანელი ძველ რომაელსავით თავ-მოწონებით ამბობდეს: რომაელი მოქალაქე ვარო,—საჭიროა კიდევ, რომ გერმანიის ერი თავისუფლად აზროვნებდეს, სჯიდეს და მოქმედობდეს.

**ინგლისი.** ლერუა ბოლიეს, რომელსაც უკეთესს მცოდნეთა სთვლიან რუსეთისას, დაუწერია ვრცელი წერილი საპოლიტიკო მანაარსისა. წერილს სათაურად აქვს ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი. ავტორი არკვევს თითოეულად ამ სახელმწიფოთა მდგომარეობას ევროპაში და იმ აზრისაა, რომ ეს სამნი ერთმანეთს ძნელად დაუახლოვდებიან საერთო მოქმედებისათვისაო. რუსეთი და ინგლისი ერთმანეთთან ვერ მოთავსდებიან, ისე, როგორც ინგლისი და საფრანგეთი. ევროპაშიო, ამბობს ლერუა ბოლიე, მხოლოდ ორი სახელმწიფოა, რომლისაც ეშინიან ინგლისსა. ერთია საფრანგეთი და მეორე—რუსეთი. ასისა და ათასის წლის განმავლობაში ინგლისელნი მიეჩვივნენ იმ აზრს, რომ საფრანგეთი და რუსეთი თუ მტერნი არა, მეტოქენი მაინც არიან დიდის ბრიტანიისა. ფრანგი და რუსია ის ხალხი, რომელსაც ეჭვით უცქერის ინგლისელი, რომელიც სძულს კიდეც და რომლის შესახებაც ბევრს ცრუ ხმასა და ლაპარაკს იჯერებს. მხოლოდ რუსეთისა ეშინიან ინგლისს,—ჩემი ქვეყნები არ წამართვას აზიაშიო, მხოლოდ საფრანგეთის უფრთხის ინგლისი, რომ ჩემი საშობლო, წყლით გარ-შემორტყმული, ხელში არ ჩაიგდოს და ჩემი სიმძლავრე ზღვაზე და კოლონიებში მირს არ დასცეს, არ დაასუსტოსო. მოვიგონოთ, რა აღიაქოთი ასტეხა ინგლისში იმ პროექტმა, რომ რკინის გზის გვირაბი მოვთხაროთ ლამანშის სრუტეს ქვეშაო. საფრანგეთი და ინგლისი თუ შეერთდებიან როდისმე, მხოლოდ იმიტომ-რომ რუსეთს გაუწიონ წინააღმდეგობა, სხოლო თუ ინგლისსა და რუსეთს ერთად უმოქმედნიათ, მხოლოდ საფრანგეთის საწინააღმდეგოდ უმოქმედნიათ, ინგლისის სურვილით. მე მგონია, რომ ინგლისი დაუკავშირდება ერთ-ერთ ამ სახელმწიფოს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ-კი, რომ მეორეს წინა აღუდგეს. რად ქმნება ასეთის ეჭვით ინგლისი საფრანგეთის? იმის გარდა, რომ ამ ორს ქვეყანას ისტორიითვე ბევრი უთანხმოება და დავიდარაბა ჰქონია, ამის მიზეზი თვით იმათი ბუნების, ტემპერამენტის სხვა-და-სხვაობაა, სარწმუნოებისა და აღზრდის გარჩევაა. უფროს-ერთს ინგლისელსაო,—ამბობს ავტორი,—კათოლიკეთა, თავისუფლად მოაზრეთა ქვეყანა, საფრანგეთი გარყვნილ ქვეყნად მიაჩნია, ისეთს ქვეყნად, რომლის მაგალითს შეუძლიან ვითომ შეარყიოს ინგლისის ზნეობა. ინგლისელისათვის საფრანგეთი კერაა ღელვისა და გულის-თქმათა ქარიშხლისა, რევოლიუციებისა და ამბოხებისა, მუქარაა მშვიდობიანობისა და ევროპის დაწყნარებულის არსებობისათვის, თავ-მოყვარე მეტოქეა ინგლისისა, მეტოქეა ზღვაზედაც და ზღვებს იქითაც, და ყველგან მოწადინებულია, წაართვას ინგლისს პირველობა და შეასუსტოს იმისი ძლიერება და მნიშვნელობა.

ასეთია ინგლისისა და საფრანგეთის ურთიერთობა, მაგრამ მე ამით ის არ მინდა გსთქვა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ადვილია უსიამოვნება მოხდეს-მეთქი. არა, სულ ცოტა კეთილგონიერებაა საჭირო ინგლისელების მხრივ, რომ აცილებულ იქმნას იგი უსიამოვნება. მაგრამ საფრანგეთი ნურას ნუ მოელის ინგლისისაგან იმის მეტს, რომ თავისთვის იქნება და ხმას არ გასცემს, ვინიცობაა საფრანგეთს ომი აუტეხა ვინმე. ლერუა ბოლიეს აზრით, ის სამი სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც უნდათ შეკავშირონ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთად, სწორედ ის სამი სახელმწიფოა, ვინც ისე ძრიელ უყვარს ინგლისსაო. ინგლისელები გულწრფელად ჰხარობდნენ, როცა ძლიერდებოდა გერმანია. გაძრიელებული გერმანია შეაკვეცავს ფრთას საფრანგეთსაო, ჰფიქრობდნენ ინგლისელები მაშინ. გერმანელები იმიტომაც მოსწონთ ინგლისელებს, რომ მონათესავენი არიან გვარტომობით, სარწმუნოებით, ტემპერამენტით. ასევე ეგიდება ინგლისი ორს დანარჩენს სახელმწიფოსაც, ავსტრიასა და

---

მანამდის-კი ცხენსა ჰრჩება ფრიად ჩინებული და ყოვლად მნიშვნელობიანი საგანი—ქონებრივი გაძლიერება, რომელსაც ორის ხელით დაეჭიდა ჩვენი გლეხი და რომელიც შეადგენს უმთავრესს საგანს მის დღევანდელ სიცოცხლისას. გლეხი ჰხედავს, რომ რამდენიც მეტს გაიკეთებს, იმდენი უფრო ზურგი მაგარი ექნება, და რაკი ერთი ფეხს მკვიდრად მოიკიდებს ნიადაგზე, ფიტს მოიკრავს და ზურგს საკმაოდ მოიმაგრებს, შემდეგ აღარა უშავს-რა—სახელმწიფო და სამოქალაქო მოვალეობასაც ადვილად გაუძღვება, გზირსაც აღარ გააპაპანებს თავის ეზო-ყურეში და მით არ შეირცხვენს თავსა, ლეკელსაც უთქმელად ჩააბარებს კოდს პურსა, ვაჭარსაც აღარ ჩაუვარდება ხელში და აღარც ვალი და ვახში გაუპირებს საქმეს. პირველი ეს არის ჩვენის გლეხისათვის და ამაშივე უნდა ვხედავდეთ ჩვენს უმთავრესსა და უძლიერესს თამასუქს ჩვენის წარმატებისას. მთელი ჩვენი ძალა და დიდება ქვეყნისა დღეს მხოლოდ გლეხია, იგი ინახავს ჩვენს ეროვნობას, ჩვენს ენას, იგი ჰკვებავს თავის თავსა და გვკვებავს ჩვენცა. თუ გლეხი დაჯანდაგდა, დანარჩენი ნაწილი ჩვენის ხალხისა ხომ მიწასთან გასწორდება-და-გავასწორდება, მაგრამ ამ დანარჩენს ნაწილს ჯანი და სული წაუვიდეს,—დაჯანდაგდება მთელი ჩვენი ერი, დასუსტდება და დაუძლურდება ჩვენი ვინაობა, დასჭკნება შემოქმედობითი ძალა ქართველის ჰკუა-გონებისა, დაეცემა ჩვენი ზნე-ხასიათი, დაუძლურდება საზოგადო ქართველი კაცი. ამიტომაც სიხარულით უნდა აივსოს თქვენი გული, ჩემო მკითხველო, თუ ჩემთან ერთად აფასებთ ქონებრივს გაძლიერებას გლეხისას, როდესაც გლეხობის წარმომადგენელი ოთარაანთ ქვრივი სტუქსავს სოფლის დედაკაცებს, ვისაც კი უსაქმოდ მოასწრობს ხოლმე:

—რაო მუქთა-მჭამელოო? შენს ქმარს თავის-თავს გამოკვება კი ეძვილება, რომ შენც მექთადა გავებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები,—აი მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამა შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა ყელზედ დაადგება აი. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..“

აფერუმ, ოთარაანთ ქვრივო! ემაგრე, ეგე,—სულ ძმარი აწურე და დაამიწე მუქთა-მჭამელები! მაგათ ადგილი აღარა აქეთ ცხოვრებაში, ეგენი მეტ-ხორცნი არიან. დაამიწე, რომ მაგათი ადგილი დაჰრჩეს იმათ, ვისაც ესმის დროების საგანი და ემსახურება ქვეყნის გაძლიერებასა!..

**

მაგრამ ყველაზედ სანუგეშო და სასიხარულო ჩვენს ცხოვრებაში ის არის, რომ გლეხთა ამ გვარი მიმართულება გარედამ მოსულის წახალისებით-კი არ არის გამოწვეული, არამედ შედეგია იმათის საკუთარის შეგნებისა და გამჭრიახობისა. ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობთ ჩვენს ცხოვრებასა, მაგრამ რამდენადაც ვიცნობთ, ისიც საკმარისია, რომ თვალი გავახილოთ და დავინახოთ, რა ნაირის მედგრობითა და ენერგიით ეტანება გლეხი თავის ქონების გაზვერებასა. ყველამ ვიცით ჩვენის დაკვირვებით, რომ გლეხი არც ერთს მსხვერპლს არ ერიდება, ოღონდ-კი წაუმატოს რამ თავის ვენახს, თავის სახნავ-სათიბს, უკეთესად მოაწყოს თავისი სახლ-კარი, უკეთესი იარაღი შეიძინოს ბუნებასთან ბრძოლაში. ჩვენა ვხედავთ, რომ წლითი-წლობით უფრო და უფრო ბევრდება რიცხვი დღიურ მიწებისა, რომელიც უსაქმურთა და უშნოთა ხელიდამ გადადის გამრჯე და შნოიან ხელში. ოთარაანთ ქვრივი აღარ დაგიდევს, თუ იგი დედაკაცია და არა მამაკაცი. იმან თავის თავზე იცის, რომ

ლეკვი ლომისა სწორია,
მუ იყოს, თუნდა ხვადია,

ოღონდ გამოიჩინოს უნარი ხელგამომაელიანობისა და გამეღმებით ემსახურებოდეს ოჯახის მოღონიერებას.

უმთავრესად ეს საგანი წამოუყენა ცხოვრებამ ჩვენს გლეხობასა და იმის საქებრად უნდა ვაღიაროთ, რომ გლეხმა ჩინებულად გაიგო სიგრძე-სიგანე, სიღრმე და ძალა ამ საგნისა. ქონებრივს მოღონიერებას მოაქვს გლეხისთვის დამოუკიდებელი ცხოვრება და უყვედური ლუკმა პური. ამ ორის გარემოების შედეგი არის გრძნობათა სისრულე, გულის სიფაქიზე, ხასიათის სითამამე, თავისის თავის იმედი, მაშასადამე, გაუტეხელობა და სიმტკიცე. რაკი ოთარაანთ ქვრივს თითონ არ უჭირს ცხოვრება, ყველაფერი ნაზრუნი აქვს თავისათვის და გარჯა კიდევ უფრო მეტს აძლევს, ვიდრე იმისათვის საჭიროა,—იმდენად მეტს, რომ აღარც-კი იცის, რაში გამოიყენოს მომეტებული, ამის გამო არც იმათთვინა ჰმურს ლუკმა პური, ვისაც ვერ გაუტანია ცხოვრებაში თავი, და კიდევაც აწვდის უხვად თავის მოწყალებას იმ ქისიდამ, რომელსაც იმისი მოსწრებული ენა ეძახის ხან «შიოს მარანსა» და ხან „ფარსელას ქარვასლას“.

ცოტაცა-და, შეძლებული გლეხი უკეთესად გამოიყენებს თავის მონაგარსა. ღმერთმა-კი დაიფაროს და მოწყალებაზე ხელი არ აალებინოს, რადგან გაჭირებულთა დახმარება კაცის უმაღლესი ღირსებაა და უამისოდ პიროტყვს ემგზავსება, მაგრამ ერთი-კი მოიფხანოს თავი, მოიფშენიტოს თვალები და გახილოს, თორემ ადვილად დაინახავს, რომ ჭამა-სმის გარეშე კიდევ არის ერთი უმაღლესი საგანი, რომელიც გლეხმა უთუოდ უნდა ჩაიგდოს ხელში, რომ გაცილებით უფრო უდიდესი ნაბიჯი გადასდგას წარმატების გზაზედ, დაეწაფოს და შეიძინოს სწავლა-განათლება, ეს უშეველებელი ღერძი ქვეყნის დიდებისა, რომელსაც გლეხის ღონიერი მარჯვენა დაშორებით უკეთ გამოიყენებს და მოიხმარებს, ვიდრე ღონეგამოცლილი, მისუსტებული და უიმედო შვილი ფუფუნებისა და კმაყოფილებისა.

აი ეს აკლია გიორგის. მიანათეთ იმასაც სპეტაკი სხივი განათლებისა, და მაშინა ჰნახავთ, როგორ დატრიალდება ჩარხი ჩვენის ბედისა. ჯერ ეხლაც-კი ეტყობა გიორგის ცნობის-მოყვარეობა: გაიგო, რომ სადღაც, შორს ვილაც მებატონეს ახალ წესზე გაუშენებია ვენახიო, გულმა არ მოუთმინა, წავიდა იმის სანახავად და ძალიანაც მოეწონა ახალი საქმე, ახალი ცოდნა. ნელ-ნელა თვით ცხოვრების მაგალითები მიიყვანს ოთარაანთ ქვრივებსა და იმათს შვილებს იმ აზრთანა, რომ სწავლა გაცილებითაა სჯობია უმეცრებასა და რომ განათლების შემწეობით კაცი უკეთესად მოაწყობს თავის ყოფა-ცხოვრებას ცალკე და უკეთესი შვილიც იქნება ქვეყნისა.

ჰო და აი, აქ არის კიდეც საქმე იმ ნაწილისა, რომელიც დღეს დაშორებითა სცხოვრობს გლეხობაზე და უაზროდ აჩანჩალებს თავის ცხოვრებას. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს.

არც ვიცი, ბოლოში მოვიხადო მკითხველთან, თუ არა ამ ჩემის წერილის თაობაზე. საქმე ის არის, რომ მანამ ხელში კალამს ავიღებდი, მეგონა ადვილად მოვიშორებ „ოთარაანთ ქვრივის“ გამო შენიშვნასამეთქი, და წერილსაც „მცირე შენიშვნა“ დავარქვი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოვსტყუვდი. რამდენიც ვუახლოვდებოდი საგნის გულსა, იმდენი თანდისთან ფართოვდებოდა საგანი და ყოვლად საყურადღებო კუნჭულებს მიყენებდა წინა. მთელი ჩემი მეცადინეობა ვიხმარე და ამაზე მოკლედ ვერ გამოვსთქვი ის მოფიქრებანი, რომელიც აღძრა ჩემში ამ «საჭირბოროტო საკითხავებით» გაჟღენთილმა მოთხრობამ. თუ ამ მოტყუილებამ ის მაინც მაღირსა, რომ ჩემს მკითხველს არ მოვაბეზრე თავი, ეს იქნება ჩემთვის უკეთესი და უტკბესი ჯილდო,—არა-და, აბა მომხდარ საქმეს საიდამ-ღა მოეველება! მეტი გზა აღარ არის, უნდა გავიდეთ ბოლომდე, თორემ ასე გაწყვეტა საგნისა უფრო საზოდიშო გამიხდება. ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ შემდეგში მოგერთმევათ ჩემი წერილი ისევ და ისევ „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ.

აქ გავათავეთ განხილვა გლეხთა ავკარგიანობისა, ახლა უნდა შევუდგეთ თავად-აზნაურობის დღევანდელ ვინაობას.

სანო

იტალიას. ავსტრიას იმედი აქვს ინგლისის, რომ რუსეთს ის გაუმკლავდება; იტალიას იმედი აქვს, რომ საფრანგეთს კრიჭაში ჩაუდგება. იტალია, ინგლისის აზრით, არის ის ჯარის-კაცი, რომელიც მეფამ მზად იქნება ინგლისელთა სამსახურად. ეგვიპტეს საქმეში იტალია ისე ხელს არ უშლის, რომ ეს აზრი შეიცვალოს. ამის გამო თუ განაირი ხელ-შეკრულობა არ არსებობს ინგლისის და იტალიის შუა, მორიგება მაინც უთუოდ იქნება. არ უნდა გვეგონოთ ამას შემდეგ ისიც, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, რომ ინგლისის გემები დაიცვავენ იტალიის კიდეებს.

ახლოა სიმართლე, —დაასკვნის მოამ ლურჯი მოლოკ, —და არავერი არა გამოვა-რა, რომ თვალეში დაუნახო და განგებ არ დაგინახოთ იგი სიმართლე. საფრანგეთს უნდა ურჩი ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს ინგლისისა, ვიდრე 1870 წელსა ჰქონდა. ვინიცობაა ასტყდა დიდი ომი, ჩვენ უნდა ველოდოთ ჩაუვლელი ჩვენი თავი, უცხოე ინგლისი პატიოსანს ნეიტრალიტეტს დაიცვავს და ხელს არ გამოილებს ჩვენდა საწინააღმდეგოდ.

## წვრილი ამბები

პარიზში მოდად შემოსულა დიდის წვეულებისას გამართვა პატარ-პატარა სტოლებზე. ამ სტოლებზე დასხატულია ყვავილები, ჯარდენი და სხ. და ყოველს მოწვეულს მასპინძი რომელსამე ყვავილს აძლევს შესვლისას. სტუმარმა ის სტოლი უნდა აირჩიოს, რომელზედაც იმისი ყვავილი დახატულა, და იქ დაჯდეს.

— საერთაშორისო თავისუფლებისა და მშვიდობიანობის კონგრესი წლეულ სენტემბრის მიწურულს ნეაპოლში. კონგრესის პროგრამაში შეტანილია, სხვათა შორის, საკითხავი ბრძოლის და ომიანობის უფლებაზე, მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ აღზრდის და განათლების გავრცელებით და მშვიდობიანობის მომხრეთა შეთანხმებას კონგრესზე პარიზის გამოფენის დროს 1889 წელს.

— განთქმული პრიმადონამ მარი რობაზ(ქ-ნმა მაზელსონმა), რომელიც ავსტრალიაში მიიწვიეს, ურთ ელექტრის თავრო იქ წასვლისას, რა-გი გავიგოთ, რომ მაღლობისაფის ოსვამს ხდარმაეულაი. ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ავსტრალიაში მაღლობ მიყვანს ხვა დარგს მასს ეროვნებს, ისაც იმასთვის, რომ ამობაცა-ბარ-გაუხსნელად აზლავ დაბარენდები ეგრობაში. საკოლონიო მთავრობა ხმა მისცა, ხოლო დაადგინა, რომ ოთხი თვის უარმა უნდა აჯეენის ოჯახეური თავისი მღლებისა და ხსუხსმეუბლა იყოს, თუ ვინიცობაა მაღლება გაცოცხალდება და ვისმე რამე ენება მისცეს.

— ლეიფციგის სასამართლოს 29 სოციალისტისთვის, რომელნიც წიგნებს ჰყიდულობდნენ, რომ გერმანიის მთავრობა მარს დაუნდო და დაემხოთო, 2—6 თვემდე ციხეში დასატიმრება გადაუწყვეტია.

— როტშილდს ბესის და ნანეტს ცხრა თვიან განმავლობაში ამერიკაში უთამაშნია და ამ პრემიისათვის წმინდა მოგება 1.250,000 მან. მიუღიათ.

— მაისის ფრანკფურტში გათოლიკთა სამღვდელოებას ური გამოუცხადება, რომ იმპერატორ ვილჰელმის მეცნიერის სასოგბელოდ ჩვენ არაფერი შესწირავთ, რადგან იმპერატორმა 8 მილიონი მანეთამდე ური ფულის სამღვდელო-

ებს, როცა რამდენიმე დაითხოვა „Kulturkampf“-ის დროს და დიდი ზარალი მისცა.

— რადგან ჩვენა სოფლებს ამერიკის აღმოჩენაზე 400 წელიწადი, ამიტომ იტალიის მეფე, ქრისტეფორე კოლუმბის პატივსაცემლად, განუზრახავს ყველა ის საბუთი, ქაღალდები დაბეჭდოს, რომელიც-კი კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას ეხება შეეხება რითი მე. ამ საქმისთვის სასულიეროს ბიბლიოთეკიდამ ეოცდა წლის სუთის წლის განმავლობაში უნდა გამოიტანონ სუთის თუმნები. იმ კომისიას მეთაურად, რომელსაც ამ წიგნის დაბეჭდვა აქვს მინდობილი, სენატორი კორენტი დაუნიშნავს.

— ამ 13 წლის ემიგრანტისთვის, რომელმაც თავისი 8 წლის ამხანაგი მოკლა, რადგან ამას ხვავთ-სხვა წლება წაერთ ფეხსცმები, ბრაუნის სასამართლოს 7 წლით ციხეში დატიმრება გადაუწყვეტია.

— ფერიში ამას წინად მისულა ვიდაც ინგლისელი ბრიტი თავის ცოლითურთ. ამ ინგლისელს ჯვარის დაწერისთანავე დაუწყია მგზავრობა სხვადასხვა ქვეყნად — გორგოლაჩებიანი სახლი გაუკეთებინებია და მაგ ორი ბრიტანიკ ცხენი შეუბამს. ეს სახლი მშვენიერად არის ყოველ მხრივ მოწყობილი, აქვს ცალკე სტუმრის ოთახი, წიგნთ-საცავი და საზოგადოება სამზარეულო-კი. ბრიტი ცოლიანადაანს ჩამოსულა ფარსელის წლის ნიღმრის, ყოფილა საფრანგეთში, ეხლა იტალიაში. ამას კიდევ მოინდომებს, აქეთ ჯოჯოსტოლეში ჩაჰყაროს და მიღბისაპოდ ფსვეოს, რომ ამმეყი-კი განზრახვა აქვს, რომ ისეც ინგლისში დაბრუნდეს.

— ამ ჟამზე პარიზში 6,386 ეტლია, სტეხგრობს თურმე ისეთი, რომლებიც 80 წელს გადაცილებულნი არიან. ამათში 2,747 კაცი 85—89 წლისაა, 640 კაცი—90 წელს გადაცილებულია, 138 კაცი—95 წელზედ მეტი. ას-წლოვანი მოხუცი პარიზში სულ 20-ია, ოთხი უცოლო და ერთი ქმრიანი, ერთი ცოლიანი და ერთი ქმრიანი, ექვსი ქვრივი კაცი და შვიდი ქვრივი დედაკაცი.

## დეპეშა

31 მაისი

**რომსტოვი** (დონისა). სამოსამართლო პალატამ განიხილა იმ უწესოების საქმე, რომელიც მოხდა 1887 წელს 8 ჰკვისტოს, და დამნაშავე დიენიზის შემდეგი სასჯელი: ხაბართენსნი—დონისის ჩამორთმევა და ციმბირში გაგზავნა საცხოვრებლად, 17 დამნაშავეს გადაუწყვიტა ციხეში დამწყვდევა და გაზროა გუნდური და სხვა 27 ბრალდებული-კი განთავისუფლდა.

**კოპსხაში.** იმპერატორს მეტად გაუმჯობესდა სალამათობა.

**ბერლინი.** თუმცა აჭური ბირჯა სუსტად ქმოქმედობს, მაგრამ რუსეთის ქაღალდის ფულები მაინც ხაფას ფასში.

1 ივნისი

**პეტერბურგი.** მისმა უდიდებულესობამ ინება ბიჭის დაარსება ქალაქ ელიში.

**ხარკოვი.** ჰქმურ სასტუმრო „ეროპამი“ საკვიდაის თასმათა თავი ბმთარჩო გრაფინია ტოშეკანმა; ბამო-

მიზეზს უბოძეს რამდენიმე ათასი მანეთი და ბედი სიცოცხლისა. თავის მიხვედრის შესახებ არავერი წერილი არ აღმოჩნდა. სიკვდილში გრაფინია სამხრეთელ ჩამოსულიყო.

**ათინა.** 25 აისის საბერძნეთის მეფე მიდის პეტერბურგს. ბერძნინების გოგო ანასტასია, მიდიამ, ელენე და ანნა გუშინ გამოემგზავრნენ საზღვარგარეთ.

### პეტერბურგის ბირჟა, 31 მაისი

| | გაიყიდა | შეიძინეს | მოჰყიდეს |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნათ-მანეთიანი ოქრო | — | — | 9 18 |
| ლონდონის ვექსელი | — | — | 182 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — | — | 1 39 |
| 5% პირველი შინაგანის სესხის მოგებიანი ბილეთი | — | — | 274¼ |
| —მეორისა | — | — | 245 |
| გირავნობის ფურცლები: ტფილისის ბანკისა | — | — | — |
| ქუთაისის ბანკისა | — | — | — |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის სახლ. ბანკისა | — | — | — |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

**მეტეოროლოგიური** ხ-14, მაისის ქარომეტრი — ამ ... 480 მილ. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ამხანაგი ქრონიკონი — მე-4, ამისი ქრონიკონი — მე—44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25. თიბათვე 30 დღით არის.

2 დღე ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა. გათოლ. ამაღლება. სომხ. ამაღლება უფლისა (ჰამბარძუმი). მზუდ. მე-5 რიცხვი თვისა შეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ალექსი გრ. ბულგაკოვის მიერ მარასი, 1806 წ.—ქემშორიტი მზე-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოვა 4—24, ჩავა 7—36. მთვარე 6 დღისაა.

3 დღე პარასკევი. წმ. მღვდელი და მოწამისა. გათოლ. ... სომხ. ... მზუდ. მე-6 რიცხვი თვისა შეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქემშორიტი მზე-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოვა 4—24, ჩავა 7—36. მთვარე 7 დღისაა.

4 დღე შაბათი. წმ. მიტროფანესი და ზოსიმესი. გათოლ. ფრანცისკესი. მზუდ. მე-8 რიცხვი თვისა შეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში პირველად მოხდა თეატრ-ზნიანობით კრება და წინამძღოლად ამორჩეულ იყო გარსევან ჭავჭავაძე, 1803 წ.—გაზეთ „ამიერ-კავკასიის“ რედაქტორმა იოსელიანმა მთავარ-მმართებლის კანცელარიის დირექტორს აცნობა, რომ რუსულ ენაზედ გამოცემულს „ურვენათა“ 1845 წ. (გამოცემის მე-4 წელს) 2 ხელის-მომწერელი ჰყავდა, ხოლო 1846 წელს-კი არც ერთი; თვით რუს ენაზედ-კი 1845 წ. ჰყავდა 14, 1846 წ.—5.—ქემშორიტი მზე-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოვა 4—24, ჩავა 7—37. მთვარე 8 დღისაა.

### გამოცხადების ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თითო შერი რუსულად | 1 გირ. | 5 კპ. |
| შერი 1-ის ხარისხისა | . | 3 „ |
| „ 2 „ | . | 2½ „ |
| თონის წითელი შერი 1-ის ხარის. | | 5 „ |
| „ „ 2— | . | 3½ „ |
| „ „ 3 „ | . | 3 „ |
| ჭყარის მაცს ხერის ლავაში | | |
| 1-ლი ხარისხისა | . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 „ |
| მე-3 — | . | . | . |
| ძროხის ხორცი | . | 8 „ |
| „ 2 „ | . | 7 „ |
| სუქი | . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| ღორის ხორცი | . | . |
| „ 2 „ | . | 7 „ |

### მიმოსვლა ციხის ბზისა შავს ზღვაზე.

**ბათუმიდამ გადის:** ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და ყირიმს შეივლის.

**შაბათობით** საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

**გვირაბობით** საღამოთი, სანდეტ გურიაზე, სტამბოლამდე მიდის.

**ბათუმში მოდის ოდესიდამ:** სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

**პარასკევობით** დილით ოდესიდამ მოკლე გზით (ყირიმს და ნოვოროსიისკს შეივლის).

**შაბათობით** დილით სამხრეთიდამ.

**ფოთიდამ ბათუმში მოდის:** სამშაბათობით—ამას შემდეგ, როცა სოხუმიდამ მიდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასიწრობს მოკლე გზით მოსიარულე გემსა და ყირიმის გემს.

**შაბათობით** დილის 9 საათზე და მასიწრობს შორის გზით მოსიარულე გემსა და ყირიმის და რუმელია-ანატოლიაზე წამსვლელს გემებს.

**ბათუმიდამ ფოთს მიდის** პარასკევობით და გვირაბობით. რაც გემი მიდის ფოთიდამ, ბათუმის სადგურში გადასხდებიან ხოლმე, რიდის წავა უნდ.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთიდან მიდის ოდესისკენ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებამდე გადაკვეთილის გზის გემები.

**გვირაბობით,** საღამოზე, და სამშაბათობით ბათუმიდამ მიდის, რაცა თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდის ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებამდე და მეკვრისიში ფოთიდან ხოლმე.

რუსეთის ნავსნოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 101.

### განცხადებანი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ თიბათვის 2-დამ ამა წლისა დაიწყებს სიარულს კარგად და ფაქიზად მოწყობილი ახალი

# დილიჟანი

გორიდამ მეჯვრისხევში ყოველ დღ. გორიდამ გავა ნაშუადღევის ოთხის ნახევარზედ, მეჯვრისხევიდამ—დილით შვიდ საათზედ. დილიჟანი დადგება გორში, იაკობ ენატაშვილის დუქანთან; მეჯვრისხევში თიბელ მიჩითიის დუქანში. ფასი: გორიდამ მეჯვრისხევამდე და მეჯვრისხევიდამ გორამდე-ორი აბაზი (40 კ.).

ნაცვლობის გრიგოლი მჭ სილიგილა.

(7—1)

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო წიგნი

# ხუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

იყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში ქუთაისში—ჭილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხეთიდის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი გარსკ კაცებთან. იქვე იყიდება „მოლაღეური“. (10—3)

მიხაილოვის ხიდთან, მირზოვის სახლში (№ 48), რამდენისამე დღის განმავლობაში ქ. ტფილისში აჩვენებენ

არა-ჩვეულებრივს სანახავს:

მალიან იშვიათი და მეტად საინტერესო ინდოელი ქალი

მისს პატრალი,

თეთრისა და შავის კანისა.

შესანიშნავი ნიმუში ბუნებისა.

გრძნეული და შერმანსული გველები (Boa Constrictoer, რომელიც საგრძნო სუთი ადლია, და Phyton Anaconda, საგრძნო მიდ-ნახევარი ადლი და წონით ორი ფუთი და ნახევარი).

ეს შესანიშნავი ნიმუში ბუნებისა, რომლის მგზავსი არ უნახავთ ამ ხსოვნაში, ნახვ. ევროპისა და ამერიკის დროს მის უდიდებულესობამ სულთანმა სტამბოლში.

მისს პატრელის დედ ევროპელი იყო, პატრელი იმით არის შესანიშნავი, რომ ტანი აჭრელ-აჭრელ თეთრი აქვს და აჭრელ-აჭრელ შავი, ესე იგი, პირი-სახე და ხელები თეთრი აქვს, როგორც ევროპელს, დანარჩენი ტანი-კი სრულიად შავი და გრძელი ხანლით შემოსილი.

მისს პატრელი გაესინჯავთ მრავალ სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის პროფესორებს და იმათი განსინჯვა ზეჭის სიკეთე შეუტყობიათ.

მისს პატრელი სთხავს ტფილისის საზოგადოებას მობრძანდეს და ანახოს იგი და ამით დაამტკიცოს თავისი ცნობის-მოყვარეობა.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე: დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდე და საღამოს ხუთი საათიდამ ათ საათამდე.

დირექტორი მილერ.

ბილეთის ფასი: პირველი რიგის 40 კპ., მეორისა—20 კ.

დირექტორი მილერ ერთხან ანახურებს ადგილზე ცოცხლის დათუებს.

დაიბეჭდა და იყიდება გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

# ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა), შედგენილი პ. გოლოვის წიგ განის ხელმძღვანელობით გ. ს—შვილის მიერ.

ფასი ო რ ი შაური.

დაეწყვეთ გასყიდვა სრულიად უმთავრის შეედრის სარკისა

რომელიც ზეერად განაკეთებულია და გაუმჯობესებულ, თეთრი ალი აქვს და ერთად იფქლდე ღირს. ნარიდ მყიდველს ბეჭდი დაეთმობათ.

ქარხანა

ზ. ბ. ტერ-აკოფოვისა დამკვეთ ტფილისის ქალაქში (50—50)